

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	14
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული.....	14
6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	15
7. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან.....	15
8. სხვა შემოსულობები.....	15
9. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	15
10. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი).....	16
11. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა.....	16
12. ძირითადი საშუალებები.....	17
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
14. საგადასახადო აქტივები.....	18
15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
16. კაპიტალი.....	18
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
18. პირობითი ვალდებულებები.....	19
19. ფინანსური რისკების მართვა.....	20
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (შემდგომში ასევე კლუბი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშო პერიოდში კლუბმა გაანაწილა დივიდენდი მისი 100%-იანი წილის მმართველის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის ოდენობით. დივიდენდის გამოცხადების მომენტში, საანგარიშგებო პერიოდში დადებითი შედეგის მიუხედავად კლუბს არ ჰქონდა დაგროვილი გასანაწილებელი მოგება რაც წარმოადგენს დივიდენდის განაწილების წინაპირობას. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის სისწორის დასადასტურებლად.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. სააღრიცხვო ჩანაწერების და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობრივ სიზუსტეზე და ფიზიკურ მდგომარეობაზე. ასევე ვერ დავრწმუნდით, რომ კვების და მედიკამენტების ხარჯი ჩამოწერილია სწორ საანგარიშგებო პერიოდში და რომ ხარჯი სრულად უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

კლუბს უშუალო საქმიანობაში გამოყენების უფლებით უსასყიდლოდ გადმოეცა საფეხბურთო ბაზა და სტადიონი. უსასყიდლოდ მიღებული უფლება წარმოადგენს დამფუძნებლისგან მიღებულ სარგებელს. კლუბს არ შეუფასებია გადმოცემული აქტივის იჯარის სამართლიანი ღირებულება და არ უმსჯელია დამფუძნებლისგან მიღებული სარგებლისა და უსასყიდლო იჯარის შემგომ აღრიცხვაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნულის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კლუბისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კლუბის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კლუბს განაგრძოს საქმიანობა, როგორც

ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამყარებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ი. ანთონი

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

19 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	6	630,779	1,428,521
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	7	236,203	-
სხვა შემოსულობები	8	3,154,809	2,409,455
სულ შემოსავალი		4,021,791	3,837,976
შრომის ანაზღაურება			
შეკრების ხარჯი		(2,194,231)	(2,241,175)
ფეხბურთელების ლიცენზიების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი		(398,167)	(505,565)
კვების და მედიკამენტების ხარჯი		(159,835)	(437,339)
სპორტული აღჭურვილობის ხარჯი		(173,352)	(153,057)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(112,972)	(366,216)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	9	(891,171)	(509,587)
		92,063	(374,963)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	10	70,116	53,253
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	10	(23,138)	(17,573)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	11	250,313	189,068
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		17,481	(25,804)
		406,835	(176,019)
მოგების გადასახადი			
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
		406,835	(176,019)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 19 მარტს:



მთავარი ბუღალტერი
ინდირა ბუკია

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	22,179	26,549
არამატერიალური აქტივები		2,900	2,893
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	13	235,617	455,801
სულ გრძელვადიანი აქტივები		260,696	485,243
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		12,534	9,024
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,300,076	884,264
საგადასახდო აქტივები	14	12,886	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	73,626	102
სულ მიმდინარე აქტივები		1,399,122	893,390
სულ აქტივები		1,659,818	1,378,633
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	250	250
კაპიტალში კონტრიბუცია	16	1,020,720	1,020,720
დაუფარავი ზარალი	16	(455,848)	(812,683)
სულ კაპიტალი		565,122	208,287
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	17	77,749	150,414
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		77,749	150,414
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახდო ვალდებულებები		-	120,948
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,016,947	898,984
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,016,947	1,019,932
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,659,818	1,378,633

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	250	620,520	(636,664)	(15,894)
წლის სრული ზარალი	-	-	(176,019)	(176,019)
ოპერაციები მესაკუთრებთან:				
კაპიტალში კონტრიბუცია (შენიშვნა 16)	-	400,200	-	400,200
31 დეკემბერი 2024	250	1,020,720	(812,683)	208,287
წლის სრული შემოსავალი	-	-	406,835	406,835
გადახდილი დივიდენდი	-	-	(50,000)	(50,000)
31 დეკემბერი 2025	250	1,020,720	(455,848)	565,122

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
შემოსულობები ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან	1,515,500	1,685,921
შემოსულობები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან	660,067	-
შემოწირულობები	316,664	723,534
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	423,137	177,000
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,506,266)	(1,295,498)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,743,640)	(1,399,377)
გადასახადები და ჯარიმები, მოგების გადასახადის გარდა	(684,495)	(311,312)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,019,033)	(419,732)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(6,840)	(32,406)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეალიზაცია	1,181,605	-
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,174,765	(32,406)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
კაპიტალში კონტრიბუცია	-	400,200
გადახდილი დივიდენდი	(50,000)	-
ფინანსურ აქტივობებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(50,000)	400,200
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	105,732	(51,938)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	102	52,040
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(32,208)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	73,626	102

5-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“ (ს/ნ 215137830) (შემდგომში „კლუბი“) დაარსდა საქართველოში 2006 წლის 16 ნოემბერს. კლუბის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა, N12, ხოლო საქმიანობის ადგილია ქ. ფოთი, პეტრე იბერის ქუჩა, N23.

ძირითადი საქმიანობა. კლუბის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო გუნდის ფოთის კოლხეთი 1913-ის მომზადება ეროვნულ ტურნირებში მონაწილეობის მიზნით. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, კლუბის უშუალო საქმიანობაში გამოყენების უფლებით, უსასყიდლოდ მოხდა საფეხბურთო ბაზისა და სტადიონის გადმოცემა 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

კლუბის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კლუბის 100%-იან წილს ფლობდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ხოლო 100%-იანი წილის მმართველია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აირონი“.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კლუბი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კლუბის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. კლუბის მენეჯმენტი ყოველწლიურად ცდილობს რესურსების ეფექტური ხარჯვით და დამატებითი ფინანსების მოზიდვით უზრუნველყოს კლუბი საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად აუცილებელი თანხებით. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კლუბი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კლუბმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

• უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში)-განსაზღვრავს თუ როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა და დაადგინოს მიმდინარე გაცვლითი კურსი საანგარიშოდ ერთი ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებები ასევე აწესებს ახალ გამყდავენების მოთხოვნებს, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ შეფასებული სავალუტო კურსის გამოყენების ეფექტის შეფასება.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია.

საანგარიშო პერიოდში კლუბმა მოახდინა მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნებისა და სავაჭრო ვალდებულებების ნაწილის რეკლასიფიკაცია გრძელვადიანში, რადგან აღნიშნული თანხების მიღება და გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში. რეკლასიფიკაცია დაკავშირებულია ფეხბურთელის ლიცენზიის ტრანსფერის შედეგად წარმოშობილ მისაღებ თანხებთან და შესაბამის ვალდებულებებთან. შესაბამისად, 2024 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნებიდან გრძელვადიან მოთხოვნებში რეკლასიფიცირდა 455,800 ლარი, ხოლო სავაჭრო ვალდებულებებიდან გრძელვადიან ვალდებულებებში 235,617 ლარი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კლუბის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კლუბი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2025 წლის 31 დეკემბერი	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საბანკო ანგარიშზე განთავსებული და სამ თვეზე მეტი პერიოდით შეზღუდული გამოყენების მქონე ფული წარდგენილია როგორც ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

მარაგები. კლუბის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კლუბი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღრიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კლუბი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სპორტული ინვენტარი	5

არამატერიალური აქტივები. კლუბის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ევექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI); და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კლუბის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილი ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არიან ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კლუბი ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება ადარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კლუბი სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა. კლუბი აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კლუბი ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კლუბი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კლუბი ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

ღირებულების განსაზღვრა. საწყისი აღიარებისას კლუბი ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში. გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა

ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას. სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კლუბის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას.

არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კლუბი ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კლუბი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

FVOCI აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

გაუფასურება. კლუბი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კლუბი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას. კლუბი მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან ერთი თვის განმავლობაში.

• **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კლუბის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL). ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კლუბი იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან

- ვალდებულება არის სავალ ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუნარიანობის ან გაკოტრებისას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კლუბმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კლუბს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კლუბის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კლუბს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კლუბი აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა კლუბი აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კლუბს აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კლუბს უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კლუბს აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

- (i) კლუბს აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) კლუბმა იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

როდესაც კონტრაქტი შეიცავს იჯარის კომპონენტს, მისი საწყისი აღიარებისას ან შემდგომ შეფასებისას კლუბი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე საიჯარო კომპონენტების განცალკევებული შედარებითი ფასების საფუძველზე. თუმცა მიწისა და შენობის იჯარის შემთხვევაში, კლუბი არ აცალკევებს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ შეიცავს იჯარას და შესაბამისად ორივე ტიპის კომპონენტს აღრიცხავს როგორც ერთ განცალკევებულ კომპონენტს.

კლუბი, როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება. კლუბი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კლუბი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ღირებულებულს დაკორექტირებული საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და იმ დანახარჯებით, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

ცვეთა. აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან იჯარის ვადამდე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრისას კლუბი იყენებს იმავე მიდგომებს, როგორც ძირითად საშუალებებზე. კლუბი აქტივის გამოყენების უფლებას პერიოდულად ამცირებს გაუფასურების ზარალით, თუ არსებობს საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების საჭიროება.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კლუბი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ

განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კლუბი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ა) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;
- გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კლუბი საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. კლუბი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებებს როდესაც შეიცვლება თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან როდესაც შეიცვლება კლუბის შეფასება კონტრაქტის გაყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის უფლების შესახებ. კლუბი საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, მოიჯარემ ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიაროს მოგება/ზარალში.

კლუბი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს აქტივის გამოყენების უფლებას რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და საიჯარო ვალდებულებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კლუბი იყენებს გათავისუფლების უფლებას და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კლუბი ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

კლუბი როგორც მეიჯარე. საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კლუბი, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით. როდესაც კლუბი მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას. თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კლუბი ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კლუბმა“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ კლუბი ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კლუბი საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია. ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში. კლუბს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. კლუბი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კლუბი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კლუბი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ.

კლუბი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. ყველა შეთანხმებაში კლუბი არის მარწმუნებელი და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლისგან მიღებული ავანსები ან კლუბის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კლუბის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კლუბს მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კლუბი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კლუბის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კლუბი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კლუბი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კლუბს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კლუბს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული სტანდარტებისა და ცვლილებების შესაძლო გავლენას ფინანსურ ანგარიშგებასა და შესაბამის შენიშვნებზე.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება (ფასს 18)- ფასს 18 ანაცვლებს ბასს 1-ს, რომელიც ადგენს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და ძირითადი გამჟღავნების მოთხოვნებს. ცვლილებები უმეტესად ზემოქმედებს მოგებისა და ზარალის ანგარიშზე და მოიცავს მოთხოვნას, რომ შემოსავლები და ხარჯები კლასიფიცირდეს სამ ახალ კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური; ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული, ეფექტურობის შესრულების საზომების, შემოსავლებისა და ხარჯების ქვეჯამების წარდგენას და ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციასა და დეზაგრეგაციასთან მიმართებით.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს 9 და ფასს 7);
- არასაჯარო შვილობილი კომპანიები: ინფორმაციის გამჟღავნება (ფასს 19)- ეხება სუბიექტებს, რომლებსაც არ აქვთ საჯარო ანგარიშგების ვალდებულება, მაგრამ მათი მშობელი კომპანიები ამზადებენ

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სტანდარტების მიხედვით. ფასს 19 საშუალებას აძლევს შესაბამის კომპანიებს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით შემცირებული მოთხოვნების გამოყენება.

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2025	2024
შემოსავალი ფეხბურთელების ლიცენზიების გაყიდვიდან	480,779	1,325,271
შემოსავალი რეკლამიდან და სპონსორობიდან	150,000	103,250
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	630,779	1,428,521

7. შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან

საანგარიშო პერიოდში კლუბმა ფეხბურთელთა ლიცენზიის იჯარით გადაცემიდან აღიარა 236,203 ლარის ოდენობის შემოსავალი, რომელიც წარმოიშობა იმ შემთხვევებში, როდესაც კლუბი დროებით გადასცემს ფეხბურთელის რეგისტრაციას სხვა კლუბს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე.

8. სხვა შემოსულობები

	2025	2024
საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებული თანხები	1,515,500	1,685,921
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული თანხები	1,332,074	-
შემოწირულობები	307,235	723,534
სულ სხვა შემოსულობები	3,154,809	2,409,455

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2025	2024
პირობითი ვალდებულების ანარიცხი	(322,075)	(20,000)
იჯარის ხარჯი*	(101,785)	(147,388)
საწევროს გადასახადი	(95,000)	(87,000)
წვრთნისა და აღზრდის კომპენსაციის ხარჯი	(76,945)	(37,541)
სამედიცინო და ოპერაციის ხარჯები	(48,531)	(36,162)
ლეგიონერების რეგისტრაციის ხარჯები	(40,000)	-
საპენსიო ფონდი	(33,486)	(32,705)
საურავები	(33,091)	-
საკონსულტაციო და სერვისის ხარჯები	(31,939)	(37,760)
დაზღვევის ხარჯი	(29,907)	(25,590)
საქველმოქმედო ხარჯი	(22,250)	-
რეკლამის ხარჯები	(3,814)	(5,930)
სხვა	(52,348)	(79,511)
სულ საოპერაციო ხარჯები	(891,171)	(509,587)

*კლუბს იჯარით აქვს აღებული საცხოვრებელი ბინები ფეხბურთელებისთვის, რომელიც თავისი მოკლვადიანი ბუნების გამო აღიარებულია პერიოდის ხარჯად.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

ფინანსური შემოსავალი/ხარჯი წარმოადგენს ფეხბურთელების ლიცენზიების გაყიდვიდან და მასთან დაკავშირებული ხარჯის გაწევიდან წარმოქმნილი მოთხოვნის/ვალდებულების დისკონტის ეფექტს.

11. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა

სხვა არასაოპერაციო შემოსულობის ძირითადი ნაწილი მოიცავს კლუბის პოლიტიკით და შინაგანაწესით დადგენილ შემთხვევებში ფეხბურთელებისა და სამწვრთნელო შტაბის დაჯარიმებას ყოველთვიური ანაზღაურებების გაცემისას.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სპორტული ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2023	-	4,459	5,256	9,715
შემოსვლა	21,427	4,078	1,300	26,805
გასვლა	-	-	(482)	(482)
31 დეკემბერი 2024	21,427	8,537	6,074	36,038
შემოსვლა	500	-	610	1,110
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2025	21,927	8,537	6,684	37,148
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2023	-	(2,444)	(3,798)	(6,242)
ცვეთის ხარჯი	(2,143)	(1,109)	(477)	(3,729)
გასვლა	-	-	482	482
31 დეკემბერი 2024	(2,143)	(3,553)	(3,793)	(9,489)
ცვეთის ხარჯი	(3,957)	(996)	(527)	(5,480)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2025	(6,100)	(4,549)	(4,320)	(14,969)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2024	19,284	4,984	2,281	26,549
31 დეკემბერი 2025	15,827	3,988	2,364	22,179

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭრო მოთხოვნები	1,444,178	1,340,011
გადახდილი ავანსები	90,000	-
სხვა მოთხოვნები	1,515	54
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,535,693	1,340,065
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნა	235,617	455,801
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნა	1,300,076	884,264

გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულია ფეხბურთელების ლიცენზიის ტრანსფერის შედეგად წარმოშობილ მისაღებ თანხებთან. აღნიშნული თანხების მიღება ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის მიხედვით მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში.

14. საგადასახადო აქტივები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	37,128	102
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36,498	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	73,626	102

16. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 250 ლარს, რაც სრულად შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კაპიტალში კონტრიბუცია

2022 წლის 29 აგვისტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს „აირონ“-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა შპს „აირონ“-ს მართვაში გადასცა შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის 100%-იანი წილი. ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების მიხედვით, წილის მართვის უფლების მიმღები ვალდებული იყო კლუბში ყოველწლიურად განეხორციელებინა არანაკლებ 400,000 ლარის ოდენობის ინვესტიცია.

2025 წელს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ვალდებულება შეიცვალა და წილის მართვის უფლების მიმღები ვალდებულია კლუბის საოპერაციო საქმიანობაში წლის განმავლობაში გაწიოს არანაკლებ 400,000 ლარის ოდენობის ხარჯი, რაც არ გულისხმობს კაპიტალური ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას.

დივიდენდები

2025 წლის განმავლობაში კლუბმა გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 50,000 ლარის ოდენობით. (2024: 0 ლარი).

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კლუბის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭრო ვალდებულებები	513,577	536,955
არაფინანსური ვალდებულებები		
პირობითი ვალდებულებები (შენიშვნა 18)	365,876	20,000
მიღებული ავანსები	95,493	82,644
გადასახდელი ხელფასები	47,836	292,988
საპენსიო ვალდებულება	56,728	70,390
სხვა ვალდებულებები	15,186	46,421
არაფინანსური ვალდებულებები	581,119	512,443
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,094,696	1,049,398
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულება	77,749	150,414
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულება	1,016,947	898,984

გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია ფეხბურთელების ლიცენზიის ტრანსფერის შედეგად წარმოშობილ გადასახდელ თანხებთან. აღნიშნული თანხების გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის მიხედვით მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში.

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კლუბს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კლუბის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კლუბის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია ანარიცხის შექმნა მიმდინარე სასამართლო დავასთან დაკავშირებით რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

2024 წლის 29 მაისს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის წარმომადგენელმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის წინააღმდეგ წარადგინა საჩივარი. საჩივრით მოთხოვნილია ერთ-ერთი ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია.

2024 წლის 29 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველმა კომიტეტმა განიხილა ფინანსური დავა და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დავა და კლუბს დაეკისრა 20,000 ლარის ოდენობით წვრთნის და აღზრდის კომპენსაციის გადახდა.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სასამართლო დავები (გაგრძელება)

კლუბი არ დაეთანხმა და აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საფეხბურთო დავების განხილველ ტრიბუნალში. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ კომპენსაცია არასწორად არის გაანგარიშებული. კლუბმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონსულტაციით და ფეხბურთელის პასპორტით გადაიანგარიშა ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს საფეხბურთო კლუბ წყალტუბოს სამგურალისთვის და იგი შეადგენს 1,750 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ კლუბი არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და დავა ამჟამად განხილვის პროცესშია, მენეჯმენტის შეფასებით, ვინაიდან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით კლუბს უკვე დაეკისრა შესაბამისი ვალდებულება, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა ანარიცხი სრული, 20,000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 25 თებერვალს კლუბის ყოფილმა ფეხბურთელმა, მაჰამათ მაინრათთმა (საფრანგეთის მოქალაქე), მიმართა ფიფას საჩივრით და მოითხოვა კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღება. ფიფამ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთელის სასარგებლოდ და კლუბს დააკისრა შესაბამისი ანაზღაურების გადახდა. გადაწყვეტილების საფუძველზე, კლუბის ვალდებულება შეადგენს 345,876 ლარს.

ანგარიშგების თარიღისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ არ არის შესული კანონიერ ძალაში და კლუბი გეგმავს მის გასაჩივრებას. მიუხედავად ამისა, ვინაიდან შესაბამისი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მენეჯმენტის შეფასებით არსებობს რესურსების გადინების ალბათობა აღნიშნული ვალდებულების დასაფარად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა ანარიცხი 345,876 ლარის ოდენობით.

19. ფინანსური რისკების მართვა

კლუბში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კლუბის ძირითად ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, ხოლო ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები. კლუბის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კლუბის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კლუბის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

კლუბს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	73,626	102
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,445,693	1,340,065
სულ ფინანსური აქტივები	1,519,319	1,340,167

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები. აღნიშნული სრულად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალ ფინანსურ ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, მომსახურების საფასურს კლუბი უმეტეს შემთხვევაში იღებს ოპერაციის განხორციელებისთანავე და შესაბამისად, არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კლუბის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კლუბს არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კლუბს არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტები უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,128	-	36,498	73,626
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,682	-	1,444,011	1,445,693
სულ ფინანსური აქტივები	38,810	-	1,480,509	1,519,319

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,616	-	483,147	528,763

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	102	-	-	102
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,340,065	1,340,065
სულ ფინანსური აქტივები	102	-	1,340,065	1,340,167

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	135,678	-	447,698	583,376

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კლუბის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ევროს გამყარება 20%-ით	199,472	178,473
ევროს გაუფასურება 20%-ით	(199,472)	(178,473)

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კლუბის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კლუბის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას კლუბის შემოსავლებზე ან ხარჯებზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კლუბი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად არსებობდეს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	451,014	77,749	-	528,763

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	432,962	150,414	-	583,376

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა კლუბის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს: უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კლუბი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კლუბი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მიღებული ავანსები	დირექტორი	11,810	5,789

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2025	2024
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	(109,313)	(50,930)

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
საგადასახადო ორგანოების მიმართ არსებულ
კრედიტორული დავალიანებების შესახებ
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ბუღალტრულ ბაზაზე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი საგადასახადო ორგანოების მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანება და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენნი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს– „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები რომელიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 22 იანვარს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ კომპანიების მიხედვით მომზადებული საგადასახადო დავალიანებების ცხრილის მიღება;	1-ელ პუნქტთან მიმართებაში ჩვენ მივიღეთ ხელმძღვანელობისგან საგადასახადო დავალიანებების ცხრილი სფფ-ს მიერ დადგენილი ფორმით;
2	საგადასახადო დავალიანებების ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხის შეჯერება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულებების“ თანხასთან;	მე-2 პუნქტთან მიმართებაში ჩვენ შევადარეთ საგადასახადო დავალიანებების ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულებების“ თანხასთან, რა დროსაც სხვაობები არ გამოვლენილა.
3	<p>2025 წლის 31 დეკემბრამდე თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან/იურიდიული დოკუმენტებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებების შესახებ, ლიცენზიის მამიებელთან გარკვევა, არაუგვიანეს ანგარიშის გამოშვების თარიღამდე:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაფარულია თუ არა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულება; და/ან • მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადასახადების შესახებ; და/ან • ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი. 	<p>მე-3 პუნქტთან მიმართებაში ლიცენზიის მამიებელთან გავარკვეეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> • არის თუ არა ამ ანგარიშის თარიღისათვის დაფარული თანამშრომლებთან 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაფორმებული ხელშეკრულებებიდან/იურიდიული დოკუმენტებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები და დავადგინეთ, რომ ვალდებულებები სრულად არის დაფარული; • საგადასახადო შეთანხმების საჭიროება არ დამდგარა; • ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი და დავადგინეთ, რომ არ წარმოშობილა არანაირი დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი.

4	<p>გადახდების საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (გადახდის თარიღი, თანხა).</p>	<p>მე-4 პუნქტთან მიმართებაში გადახდების საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერები შევადარეთ შესაბამის საბანკო ამონაწერებს და საგადასახადო ვალდებულების ცხრილში მითითებულ ინფორმაციას, სხვაობები არ აღმოგვიჩენია.</p>
---	---	--

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

10 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებების შესახებ

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ბუღალტრულ ბაზაზე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავებმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისში ჩამოთვლილი თანამშრომლების მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანებები და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს – „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები რომელიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 22 იანვარს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისის მიღება;	1-ელ საკითხთან დაკავშირებით მივიღეთ და განვიხილეთ თანამშრომელთა უწყისები, რომლებიც მომზადდა ხელმძღვანელობის მიერ სფფ-ის დადგენილი ფორმის თანახმად 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
2	თანამშრომელთა უწყისში ჯამური თანხის შეჯერება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებული ვალდებულების“ თანხასთან;	მე-2 საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არ შეგვიძინებია უზუსტობა თანამშრომელთა უწყისში ჯამური თანხის შეჯერებისას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან მიმართებაში.
3	თანამშრომლების დასტურის წერილების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან (არსებული დავალიანების თანხა, დავალიანების დაფარვის თარიღი და თანხა);	მე-3 საკითხთან მიმართებაში ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობს დასტურის წერილები თანამშრომლებისგან და ისინი ედრება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციას (დასტურის წერილებში სახელფასო ვალდებულებები მითითებულია ნეტო თანხა, გადასახადების გარეშე). კლუბის ხელმძღვანელობამ მოგვაწოდა ახსნა-განმარტებითი წერილები, იმ თანამშრომელთა შესახებ, ვისგანაც კლუბმა ვერ შეძლო დასტურის წერილის მოპოვება, სადაც აღნიშნულია, რომ ამ თანამშრომლებთან კლუბს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულება არ გააჩნია ან დაფარულია შემდგომ პერიოდში. აღნიშნული წერილი თან ერთვის თანამშრომელთა დასტურის წერილებს. კერძოდ: ასპრილლა მოსქუერა ხუან ფერნანადო ვრაჩიუ ანდრეი-დავიდ-სილვიუ ზნოვენკო მიროსლავ საიდოუ დია მოუჰამადოუ ქონატე ოლხოვი ვალერი რიაბენკო დანილო

		<p>კლუბის ხელმძღვანელობამ ასევე მოგვაწოდა ახსნა-განმარტებითი წერილები, იმ თანამშრომელთა შესახებ, ვის მიმართაც კლუბს გააჩნია სახელფასო ვალდებულება და ვერ შეძლო დასტურის წერილის მოპოვება. კერძოდ: გიორგი მელქაძე 12,071 ლარი (9,463 ლარი ნეტო), (იმყოფება საზღვარგარეთ); თვარაძე ნუგზარი 2,080 ლარი (1,664 ლარი ნეტო) (გარდაიცვალა); დასტურის/ახსნა-განმარტებითი წერილები არ მიგვიღია ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებზე, რადგან კომპანიას აქვს დავები აღნიშნულ თანამშრომლებთან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გოგოშვილი სანდრო 2. მაინრათ თიამ მაჰამათ <p>ჯამურად დასტურის წერილებით დადასტურებული სახელფასო ვალდებულება შეადგენს - 33,685 ლარს (26,473 ლარი ნეტო), ხოლო ახსნა-განმარტებითი წერილებში მითითებული სახელფასო ვალდებულება შეადგენს - 14,151 ლარს (11,127 ლარი ნეტო).</p>
4	<p>ანგარიშის გამოშვების მომენტისათვის არსებული თანამშრომელთა ვალდებულებების შესახებ, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე წარმოქმნილ ვალდებულებებს, ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის გამოკითხვა:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაფარულია თუ არა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულება და/ან • მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ; • ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი. 	<p>მე-4 საკითხთან მიმართებაში შევამოწმეთ, რომ</p> <ul style="list-style-type: none"> • კლუბს გააჩნდა ვალდებულება თანამშრომლების მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 47,836 ლარის ოდენობით, რომელთაგან ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის დაფარულია 10,527 ლარის ოდენობის ვალდებულება. კლუბს ამასთან დაფარული აქვს 2025 წლის 31 დეკემბრის შემდგომ წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ნაწილი. • კლუბის ხელმძღვანელობამ მოგვაწოდა სახელფასო ვალდებულების დასტურის წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ აღნიშნულ თანამშრომლებთან მიაღწიეს შეთანხმებას გადახდის გადავადებაზე 2026 წლის 31 მარტამდე. რაც შეეხება იმ თანამშრომლებს, რომლებისგანაც დასტურის წერილი არ მიგვიღია, მათთან დაკავშირებული გადახდის გადავადების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. • მენეჯმენტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ 2026 წლის 9 იანვარს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტში საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი 1913“-ის წინააღმდეგ სანდრო გოგოშვილის მიერ შეტანილია საჩივარი.

		<p>სანდრო გოგოშვილი კლუბში დასაქმებული იყო 2025 წლის 16 იანვრიდან 2025 წლის 16 დეკემბრამდე პერიოდში ექიმის თანამდებობაზე. საჩივრით მოთხოვნილია ბოლო თვის სახელფასო დავალიანების- 1,942 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული დავა მიმდინარეა. ამასთან, თანამშრომელთა უწყისში, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მომზადდა სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სანდრო გოგოშვილის ბოლო თვის სახელფასო ვალდებულება არ არის ასახული.</p> <p>2025 წლის 25 თებერვალს კლუბის ყოფილმა ფეხბურთელმა, მაჰამათ მაინრათთმა (საფრანგეთის მოქალაქე), მიმართა ფიფას საჩივრით და მოითხოვა კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღება. ფიფამ აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთელის სასარგებლოდ და კლუბს დააკისრა შესაბამისი ანაზღაურების გადახდა. გადაწყვეტილების საფუძველზე, კლუბის ვალდებულება შეადგენს 345,876 ლარს. ანგარიშგების თარიღისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ არ არის შესული კანონიერ ძალაში და კლუბი აპირებს გადაწყვეტილების გასაჩივრებას.</p> <p>თანამშრომელთა უწყისში, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მომზადდა სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მაჰამათ მაინრათის მიმართ ვალდებულება არ არის ასახული.</p>
5	<p>გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (გადახდის თარიღი, თანხა).</p>	<p>მე-5 პუნქტთან მიმართებაში, ჩვენ შევადარეთ გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციები ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამის საბანკო ამონაწერს და ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას (გადახდის თარიღი, თანხა) და უზუსტობები არ აღმოგვიჩენია.</p>

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

10 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
ტრანსფერების განხორციელების შედეგად წარმოქმნილ
გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ215137830) ბუღალტრულ ბაზაზე 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავებმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანება და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს- „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის

კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები რომელიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 22 იანვარს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სატრანსფერო ცხრილის მიღება სფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით;	1-ელ პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ სატრანსფერო ცხრილი ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში (2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) კლუბში განხორციელებული ტრანსფერების (მათ შორის იჯარის) შესახებ, ასევე იმ ტრანსფერებზე, რომელთა მიმართაც 2025 წლის 31 დეკემბრამდე კლუბს ვალდებულებები არ აქვს დაფარული. ცხრილი ასევე მოიცავს ინფორმაციას იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც კლუბში დარეგისტრირებისას თავისუფალი აგენტები იყვნენ.
2	ტრანსფერების ცხრილში ჯამური თანხის შედარება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან;	მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ ტრანსფერების ცხრილში ჯამური თანხა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ედრება ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხას (კლუბს არ აქვს ვალდებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით);
3	ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.	მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ ტრანსფერების ცხრილი არითმეტიკულად ზუსტია;
4	ფეხბურთელების ყველა ტრანსფერის/იჯარის, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (ფეხბურთელის სახელი, გვარი, ტრანსფერის თარიღი, საზღაური).	მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, სრულად განვიხილეთ სატრანსფერო ხელშეკრულებები, რომლებიც მითითებულია ტრანსფერების ცხრილში და დავადგინეთ, რომ მოცემული ინფორმაცია სრულად მოიცავს ამავე პუნქტში მოთხოვნებს.
5	2025 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული ტრანსფერებიდან წარმოქმნილი ვალდებულების შესახებ, ლიცენზიის მაძიებელთან გარკვევა, არაუგვიანეს ანგარიშის გამოშვების მომენტისათვის;	მე-5 პუნქტებთან დაკავშირებით, ლიცენზიის მაძიებელთან გავარკვეეთ, რომ

<ul style="list-style-type: none"> • დაფარულია თუ არა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულება; და/ან • მიღწეულია თუ არა შეთანხმება კრედიტორ კლუბებთან ვალდებულებების გადახდის გადავადების შესახებ (იმ ფეხბურთელების მითითებით რომელთან უკავშირდება ვალდებულება); და/ან • ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი. 	<ul style="list-style-type: none"> • ამ ანგარიშის წარდგენის თარიღისათვის, კლუბს 2025 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული ტრანსფერებიდან ერიცხება 0 ლარის ოდენობით ვალდებულებები. • კლუბს 2025 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული ტრანსფერებიდან ერიცხება 0 ლარის ოდენობით ვალდებულებები, შესაბამისად გადავადების საჭიროება არ არსებობს. • 2024 წლის 29 მაისს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის წარმომადგენელმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის წინააღმდეგ წარადგინა საჩივარი. საჩივრით მოთხოვნილია ერთ-ერთი ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია. <p>2024 წლის 29 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველმა კომიტეტმა განიხილა ფინანსური დავა და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დავა და კლუბს დაეკისრა 20,000 ლარის ოდენობით წვრთნის და აღზრდის კომპენსაციის გადახდა.</p> <p>კლუბი არ დაეთანხმა და აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საფეხბურთო დავების განხილველ ტრიბუნალში. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ კომპენსაცია არასწორად არის გაანგარიშებული. კლუბმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონსულტაციით და ფეხბურთელის პასპორტით გადაიანგარიშა ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს საფეხბურთო კლუბ წყალტუბოს სამგურალისთვის და იგი შეადგენს 1,750 ლარს.</p> <p>აღნიშნული ვალდებულება ასახულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილ ფორმაში.</p> <p>ანგარიშის გამოცემის თარიღში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის</p>
---	--

		<p>სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილება გასაჩივრებელია საფეხბურთო დავების განმხილველ ტრიბუნალში.</p>
6	<p>გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (გადახდის თარიღი, თანხა).</p>	<p>მე-6 პუნქტთან მიმართებაში შევამოწმეთ ყველა ტრანსფერის/იჯარის გადასახადი, მათი საბანკო ტრანზაქციები და ბუღალტრული ჩანაწერები. შევადარეთ ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც სრულად მოიცავს ამავე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.</p>

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ი. ანთონიძე

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

10 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით
2026 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდზე

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს 2026 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს 2026 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესსს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენნი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს– „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები რომელიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 22 იანვარს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მიღება;	1-ელ პუნქტთან მიმართებაში ჩვენ მივიღეთ და განვიხილეთ ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადდა სფფ-ის მიერ დადგენილი სტანდარტით;
2	პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სისწორის შემოწმება;	მე-2 პუნქტთან მიმართებაში ჩვენ შევამოწმეთ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სიზუსტე და უზუსტობები არ შეგვიმოჩნევია;
3	იმის შემოწმება, არის თუ არა მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მამიებლის აღმასრულებელი ორგანოს მიერ (გენარალური დირექტორის ხელმოწერა);	მე-3 პუნქტთან მიმართებაში შევამოწმეთ, არის თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მამიებლის დირექტორის მიერ და ვნახეთ, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ხელმოწერილია შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის გენერალური დირექტორის მიერ;
4	ხელმძღვანელობის გამოკითხვა იმის თაობაზე, მომზადებული იყო თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწერილი დაშვებების გათვალისწინებით.	მე-4 პუნქტთან მიმართებაში გამოვკითხეთ კლუბის ხელმძღვანელობა, იყო თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია მომზადებული ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მომზადებული აღწერილი დაშვებების გათვალისწინებით.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

19 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო